№ 261
დეკემბრის 5, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 261
დეკემბრის 5, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს 1 მან. 50 კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

მირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა სიაში, სი[illegible]ში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარობს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მასი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საცლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავღიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—63)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

№ 20 ტელეფონი № 617.

საღებიუტო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, 1902 წ.

მიხეილ ქორიძის საღებიუტოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ორი პიესა

I

ავადმყოფნი

დრამ. 2 მოქ. გ. გაუპტმანისა.

II

პირველად ახალი პიესა

დედის ნებიერი

კომ.-ფარსი 3 მოქ. რუსულ. დ. აწყურელის თარგმ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, მ. ქორიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ტარტიუფი“ „მეჯლისი იტალიელებითურთ“ (აბაშიძის ბენეფისი), „სიძე-სიმამრი“, „გრიგალი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და რევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ქუთაისის

საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა პატივისცემით განაცხადებს, რომ ამა წლის 22 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია საგანგებო კრება ამა საზოგადოების წევრთა.

კრებას მოხსენდება:

ანგარიში მართებლობის რევიზიისა, რომელიც მოხდა ამა წლის მარტში, და წინადადება ბ- ფინანსთა მინისტრისა და განმარტება საზოგადოების რჩევისა და გამგეობის ამ ანგარიშის შესახებ. (3—6.—3)

ექიმი ალ. მალალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

21 დეკემბერს არტისტიულ საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალივკა (ვიოლონჩელისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროდქიმუტინი (მომღერალი), ქ. ბაბაევისა, ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგად. კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა).
(5—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჰიჰინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საა[illegible] 11—მდის.

ი. პ. დას[illegible]ნიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საა[illegible]

დ. ა. ბედ[illegible]ნიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ პარასკევს, 6 დეკემბერს, ტფილისის დედათა ეპარქიალურს სასწავლებელში დანიშნულია სამუსიკო-სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამ სასწავლებლის მოსწავლე ქალები.

◆ დღეს, 5 დეკემბერს ქართულ თეატრში თამაშობენ ჰაუპტმანის „ავადმყოფებს“, რომელშიაც პირველად გამოდის ტფილისის სცენაზედ ახალგაზდა არტისტი მიხეილ ქორიძე. ქუთათურ რეცენზენტების სიტყვით, ამ არტისტმა მშვენივრად შეასრულა თურმე ვილჰელმის როლი ამ პიესაში.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა ხარკოვის სამეურნეო საზოგადოების ქაღალდი, რომ 1903 წლის 14-დგან 25 სექტემბრამდე დანიშნულია კრება, რომელზედაც განხილულ იქნება საქონლის მოშენების სხვა-და-სხვა საგანიო, ამიტომ კარგი იქნება, თუ კავკასიის სამეურნეო საზოგადოება დანიშნავს თავის წარმომადგენელს, რომელმაც მონაწილეობა მიიღოს საერთო საგნების განხილვაშიო.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ბ-ნმა სოსიკო მერკვილაძემ რაჭიდგან ჩამოუტანა წ. კითხვის საზოგადოებას ახალ წევრების საწევრო ფულად 96 მანათიო და დღეს კიდევ ამავე სოსიკო მერკვილაძეს ჩამოუტანია ახალის წევრებისაგან 78 მანათი. ამ გვარად საგენტო დავალება 10 ივნისიდგან ამა წლისა ს. მერკვილაძეს სავსებით შეუსრულებია, რადგან წ. კ. საზოგადოებისთვის შეუძენია სწორედ იმდენი წევრი, რამდენი ბარათიც ჰქონდა გაგზავნილი საზოგადოების გამგეობისაგან წევრთა შესაძენად და საწევრო ფულის მოსაგროვებლად.

◆ შაბათს, 7 დეკემბერს, ქალაქის ხელოსანთა სამმართველოში ხელოსანთა მოურავის თავმჯდომარეობით დანიშნულია კრება, რომელიც განიხილავს ბ-ნ გროსსის მიერ წარმოდგენილს წინადადებას. ამ კრებისათვის საგანგებოდ მოწვეულნი არიან 12-ის ჰამქრის უსტაბაშები.

◆ 10 ნოემბერს დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

◆ დღეს, 5 დეკემბერს, საღამოს 7½ საათზე დაიწყება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების კრება, რომელმაც სხვა-და-სხვა საქმეები უნდა განიხილოს.

◆ 1 დეკემბერს ბათუმის ქალაქის საბჭოში დამატებით არჩევნებს, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. ხმოსნობაზე კენჭი იყარა 54 კანდიდატმა. ამათში ქართველი იყო 28, რუსი—7, სომეხი—8, ბერძენი—7 და მაჰმადიანი—4. ასარჩევი იყო 17 ხმოსანი და 9 მათი კანდიდატი: 54 კაციდგან არჩეულ იქმნა 13 კაცი, სახელდობრ: ი. მ. ხითაროვი (ინჟ.-ტეხნოლოგი), ა. ს. ჩილინგარიანი, ტ. პ. ტრიანდაფილლიდესი (ექიმი), ი. დ. კაკაბაძე, ს. ქუთათელაძე, ბ. ბარკალაია, მ. ს. ბეთანოვი, ბ. ჯაყელი; ლ. ს. ქიქოძე, თ. მ. ნაკაშიძე, თ. ნ. ნაკაშიძე, რეჯიბ-ეფენდი-შაშიკოლლი და აშიზადე-ომარ-ოღლი.

ამრიგად, განახლებულ საბჭოში ქართველი 14-ია, სომეხი—8, რუსი—10, ბერძენი—2 და მაჰმადიანი 3.

◆ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ა. ი. ანდრონიკაშვილი გორის ქალაქის მოურავად.

◆ საქმის მცოდნეთა და აგრონომების კრება მოჰხდება ამ მოკლე ხანში მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიაში. კრებამ უნდა დაადგინოს: რა საშუალების და ღონის-ძიების ხმარებაა საჭირო, რომ ბრინჯით ნათესებისაგან მცხოვრებთა შორის ციებ-ცხელება არ გავრცელდესო.

◆ ქალაქის თავის მოადგილე შესტაკოვი კვირას, 8 დეკემბერს, კერძო კრებაზე მიიწ-

ვევს ხმოსნებს ქალაქის მოურავობაზე კანდიდატის დასასახელებლად.

◆ 6 დეკემბრიდგან ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ხელში გადადის ერევნის რკინის გზა.

◆ ტფილისის წისქვილებსა და ბორნებთან მისასვლული კიბეები და გზები ისეთ ცუდ მდგომარეობაში არის ამჟამად, რომ რამდენიმე კაცი დაიხრჩო წყალში ამ მიზეზით. ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, გაგზავნე ტეხნიკოსები წისქვილებისა და ბორნების დასათვალიერებლად და დაავალე წისქვილის პატრონთ ტეხნიკოსების ჩვენების თანახმად შეაკეთონ მისასვლელი გზები და კიბეებიო.

◆ იურიევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ბ-ნი ფადეევი ტფილისის ბოტანიკურ ბაღის ბოტანიკად დაინიშნა.

◆ რკინის გზების უფროსის ინჟენერ ი. კ. ივანოვსკის განკარგულებით, სამსახურიდან დათხოვნილ იქმნებიან რკინის გზის საავადმყოფოში მოსამსახურე ის ექიმები, რომლებიც თავის დროზე შემწეობას არ მისცემენ ავადმყოფთ და შემწეობაზე უარს განუცხადებენ.

◆ ტფილისის ქალაქის მე-9 და მე-10 უბნების ხუროთ-მოძღვარმა—ა. ა. მელიქ-ბეგლიაროვმა გუშინ-წინ ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება და ითხოვს, რომ ამ ორ უბანში ერთი ხუროთ-მოძღვარი საკმარისი არ არის და ამიტომ საჭიროა სამი ხუროთ-მოძღვარი დაინიშნოსო. მისავე აზრით, საჭიროა ტფილისისათვისაც, პეტერბურგისა, მოსკოვისა, და ოდესის ქალაქების დაგვარად შემოიღონ სავალდებულოდ, რომ ქალაქის მცხოვრებლებმა სახლის შენების დროს უსათუოდ იყოლიონ ხუროთ-მოძღვრები, რომელნიც პასუხის-მგებელნი იქმნებიან, როგორც სახლის პატრონებისა, ისე კანონის წინაშე.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება.

სამშაბათს, 3 ამა დეკემბერს, ტფილისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთ განაგრძეს თ-დ ლ. ჯანდიერის მოხსენების განხილვა, კერძო საკუთრების დაცვის შესახებ. კრების თავმჯდომარემ უგანათლებულესმა თ-დმა პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკიმ მოაგონა დამსწრე საზოგადოებას თ-დ ლ. ჯანდიერის მოხსენების უმთავრესი ტეზისები და ყველა ის საფუძველნი, რომლითაც უხელმძღვანელნია ბ-ნ რეფერენტს. თ-დმა გრუზინსკიმ დაწვრილებით განუმარტა საზოგადოებას აგრეთვე წინა კრებაზე მოხსენების წინააღმდეგ წარმოთქმული აზრები.

თ-დ ლ. ჯანდიერმა განაცხადა, რომ მე მსურს განვმარტო—რამდენიმე ნაწილი ჩემის მოხსენებისა. ყველა ის საგანი, რომელიც ამ მოხსენებაშია აღძრული საჭიროებს იურიდიულ განმარტებას და ამიტომ ამ მხრით სათანადო დახმარება უნდა გამიწიოთო. თ-დ ლ. ჯანდიერი ამტკიცებდა, რომ წინა კრებაზე საწინააღმდეგო აზრები განმარტებული იყო მხოლოდ საზოგადოდ და თითქმის თვითოეული ორატორი საჭიროდ აღიარებდა სწავლა-განათლების გავრცელებას მკვიდრთა შორის. ეს უკანასკნელი მოსაზრება ჩვენ გვრწამს და კიდევაც თანხმა ვართ, მხოლოდ ის-კი აშკარაა, რომ სწავლა-განათლება ხალხში კუს ნაბიჯით მიდის, ხალხი არაა ჯერ-ჯერობით მომზადებული. ამიტომ საჭიროა ხალხს ახლავე დახმარება აღმოვუჩინოთ, მივეშველოთ. ჩვენ აღვნიშნეთ მოხსენებაში მხოლოდ ის ღონისძიება და საშუალებანი, რომელიც ამ ჟამად შეეფერება ხალხის მდგომარეობას. სამოქალაქო დებულებაში საკუთრების უფლება არაა სწორედ განმარტებული. საკუთრების მითვისებას კანონი კიდევაც აქეზებს, ნამდვილი მესაკუთრე იძულებულია სასამართლოს წესით დაიცვას თავისი უფლება; ამიტომ საჭიროა, რომ კერძო საკუთრება დაცულ იქმნას „დამცველობის“ წესით და არა საქმის გასაჩივრებით. ჩვენ ვთხოულობთ,—განაგრძო თავადმა ლ. ჯანდიერმა,—რომ დიდი რეფორმები იქმნას შემოღებული ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამ რეფორმებს არ მოგვანიჭებენ. თავ. ლ. ჯანდიერის აზრით, ხალხი არაა მომზადებული ჯერ-ჯერობით, ხალხი ვერ ახერხებს ისარგებლოს უფლებით, რომელსაც სასამართლო ანიჭებს.

აგრონომი ავ. სააკოვი კვლავინდებურად ამტკიცებდა, რომ თავ. ლ. ჯანდიერის მიერ ნაჩვენები ღონისძიებანი ხალხის ნივთიერ მდგომარეობას გაანადგურებს, მეტად საზარალო იქმნება ხალხის კეთილდღეობისათვის. ამ ჟამად ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ვამცნოთ მთავრობას, თუ რა გვაწუხებს და არა ესა თუ ის ღონისძიება აღვუნუსხოთ. საჭიროა გამოვიძიოთ ჩვენის საჭიროებისა და წყლულის მიზეზები. აუცილებლივ საჭიროა, რომ მართლმსაჯულება მივუახლოვოთ ხალხს, საჭიროა რომ ჩვენში შემოღებულ იქმნას ნიფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ან გამრავლებულ იქმნას მომრიგებელ მოსამართლეთა რაოდენობა. თუმცა ადმინისტრაცია ახლო სდგას ხალხთან, მაგრამ ამიტომ არ შეიძლება კაცმა დაასკვნას, პოლიციამ იცის ხალხის საჭიროების ამბავიო. ბოროტ-მოქმედებათა მიზეზები ეკონომიურ ნიადაგზეა აღმოცენებული. ორი მესამედი მკვიდრთა შემოსავლისა პოლიციის შესანახად იხარჯება.

ბ-ნ სოკოლოვმა განმარტა, რომ პოლიციის მოხელენი უმეტეს შემთხვევაში პასუხის გებაში არიან მიცემულნი და, მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია ჩაჰბარდეს მას ხალხის ბედის გადაწყვეტა, რადგან თვით ამ მოხელეთა ზნეობრივი გავლენა მცირეა. უმეტეს შემთხვევაში პოლიციის მოხელენი მოსული ხალხია, რომელმაც აქაურის ენებისა არა იცის-რა, რომელიც აქაურ მკვიდრის ზნე-ჩვეულებას ვერ იცნობს, და ამიტომ საიდან შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ ადმინისტრაცია ახლო სდგას მკვიდრთანაო. ბ-ნი სოკოლოვი ურჩევს საზოგადოებას, რომ გამრავლებულ იქმნას მომრიგებელ მოსამართლეთა რაოდენობა. თვითოეულ მოსამართლეს განსაზღვრული საქმეთა რაოდენობა უნდა ჰქონდეს ჩაბარებული, ამასთანავე, სოკოლოვის აზრით, სოფლად მთავრობის მიერ გაწესებული ვექილები უნდა იყვნენო.

დასასრულ თავმჯდომარემ უგანათლებულესმა თავ. გრუზინსკიმ ყველა ორატორთა ნალაპარაკევიდამ და თვით თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენებიდან ასეთი ღონის-ძიებანი აღნიშნა და სთხოვა კრებას გარდაეწყვიტა, სასურველია თუ არა მათი განხორციელება: 1) გამრავლდეს თუ არა მომრიგებელ-მოსამართლეთა რიცხვი, 2) იქმნას თუ არა სოფლად მთავრობის მიერ გაწესებული ვექილები, 3) შემოვიღოთ თუ არა გამჩიჯვნელი კომიტეტები, 4) გადაშინჯულ იქმნას თუ არა კერძო საკუთრების დაცვის შესახებ არსებული კანონები და 5) მიენიჭოს თუ არა პოლიციას უფლება, აღადგინოს საკუთრების ფაქტიური მფლობელობა. ყველა ეს საგანი კრებამ, თანახმად თავმჯდომარის წინადადებისა, გარდასცა გადასაწყვეტად იურიდიულ საზოგადოებას. თავ. ლ. ჯანდიერის მოხსენებიდან მიიღო ის მუხლი, რომელიც შეეხება ურთიერთ შორის დაზღვევას, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს დაზღვევა სოფლელთა ნებაყოფლობით უნდა მოჰხდეს.

(დასასრული იქნება)

—

ქალაქის საბჭოს კრება. ხმ. თუმანოვი: დიდი ხანია დაწყებულია საქმე, რომ ქალაქს გაემართა მტკვარზედ მუხრანის ხიდი; ქალაქმა გადასდო კიდეც ამ ხიდის გასამართად 100 ათასი მანეთი, კომისიამაც დაათვალიერა ადგილი ხიდისათვის; მას აქეთ აგერ ათი წელიწადზედ მეტია და არაფერი ისმის; გთხოვთ შეგვატყობინოთ, რა ჰქნა ამ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობამ. თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი: გამგეობამ ამ საქმის წარმოება უკვე წარუდგინა მთავრობას და სთხოვა კიდეც ნება-რთვა, მაგრამ ჯერ არა ისმის-რა. სულხანოვი: თქვენ კარგად უწყით, როგორ კეთდება კანცელარიებში საქმეები, მეტადრე ის საქმეები, რომელიც უყურადღებოდ არის დატოვებული! გთხოვთ ამ საქმეს პატრონობა გაუწიოთ და მალ-მალ მოაგონოთ, ვისიც ჯერ არს, დააჩქარონ საქმე.

ზოგიერთა ხმოსანი შეეკითხა გამგეობას: ქალაქის საქმეთა სარევიზიო კომისიამ აღმოაჩინა, რომ ბევრი უწყება დაფასებისა დაკარგულა და საქმეებში არ არის, გთხოვთ შეგვატყობინოთ, რა მიზეზით მოხდა ეს არა სასურველი ამბავი.

ჩერქეზიშვილი: ეგ ამბავი მხოლოდ შემთხვევით მოხდა და იმედია შემდეგში აღარ მოხდება.

თავმჯდომარემ სთქვა, რომ საჭიროა ამორჩეულ იქმნას კომისიების წევრნი. პირველად უნდა, ჩემის აზრით ამოვირჩიოთ ქალაქის სამხედრო საკრებულოს წარმომადგენლებიო. ქალაქის დებულების ძალით, საჭიროა ორი წევრი და ორიც მათი კანდიდატი. უნდა ამოირჩეს აგრეთვე ქალაქის გამგეობის 1901 წლის ანგარიშისა და საქმის წარმოების სარევიზიო კომისიაო.

დოლუხანოვი: საჭიროა, ამ კომისიაში ამოირჩიეს 7 კაცი, თორემ 3 და 4 კაცი ვერ აუვა ამდენ საქმეების გადათვალიერებას. მეორეც ესა, კარგი იქნება, რომ ამ კომისიაში ერთის წლის ვადით იქმნან ხოლმე ამორჩეული წევრები. ამითი ყველა ხმოსანს შეძლებას მივცემთ, ქალაქის საქმეები დაახლოვებით გაიცნოს და გაიგოს მისი ავ-კარგი.

ამ წინადადებას ბევრმა წინააღმდეგობა გაუწია და განაცხადეს, სარევიზიო კომისია უნდა ამოირჩეს იმ ვადით, რა ვადითაც ირჩევა ქალაქის საბჭოვო.

თავმჯდომარე: გთხოვთ დაასახელოთ ბარათებით სამხედრო საკრებულოში ორი წარმომადგენელი და ორიც მათი კანდიდატი; დაასახელეთ აგრეთვე ქალაქის საქმეთა სარევიზიო კომისიის წევრი და მათი კანდიდატები. დაიდგა ყუთები. ქალაქის სამხედრო საკრებულოში წარმომადგენლებათ არჩეულ იქმნენ გ. ხ. თამამშევი (59 თეთრი 4 შავი) და ა. დ. სურენიანცი (57—6) კანდიდატებად—ბ. ს. ესაძე (56—7) და ფეფელოვი (44—19); გამგეობის მოქმედების ანგარიშების სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბარათაშვილი თ-დი ი. ა. (52—11) იონისიანცი (51—12), დოლუხანოვი (51—12), კოჟინი (63 თ.) ტურანოვი (56—7) ხატისოვი (53—10), შახბუდაღოვი (52—11); კანდიდატებად—ა. ღულაძე (48—15 და ბაღდასაროვი (39—24).

ცივზედ დარბაზობა.

(ისტორიული ცნობა).

1334 წლის ივნისი იყო. მეფე გიორგიმ მოინდომა დიდი წვეულება გამართა ცივის მთაზე. სამეფოს ყველა მხარეს გაგზავნა სანდო კაცნი დიდებულთა და მთავართა მოსაწვევად.

მალე მოგროვდნენ ტფილისში საქართველოს ყველა მთავარნი, ერისთავნი, ხეობათა და ქალაქთა გამგენი. ძლიერი მთავრები გულ-ზვიადად უცქეროდნენ ერთმანეთს, ამაყობდნენ. თითოეულს მტკიცედ სწამდა, რომ ყველა დანაშთენზე იგი მეტი იყო ძლიერებით, ახოვნებით; თითოეულს ცა ქუდათ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

ამოდენა ბრწყინვალე მხედრობა დაიძრა ქალაქიდგან და გუდგა კახეთის გზას მეფის მოთავეობით.

**

გომბორისა და ცივის მთა ჰყოფს ალაზნისა და იორის ხეობებს. თან-და თან ეს მთა დაბლდება და ამ დადაბლებულ მთის ღელე-ყურეებში შეფენილია ქიზიყის სოფლები: ლაგოდეხის, ჭარის, საინგილოს და ნუხის გადასახედავამდე. საკუთრად „ცივი“ ეწოდება ამ მთის იმ ველობიანს მწვერვალს, რომელიც აქეთ გადმოჰყურებს საგარეჯოს, უჯარმას და იქით თელავს, შიგნით კახეთს და კავკასიონს.

ამ ცივზედ მოჰყავდა სტუმრები გიორგი მე-V ბრწყინვალეს.

მათ გამოვლეს ვაზიანი, [illegible], სართიჭალა, საგარეჯო და ავიდნენ ცივზედ.

მეფის ბრძანებით მისს ერთგულ მოხელეებს, მეცხვარეებს და სოფლელებს მოემზადებინათ სამეფო სუფრა; დაეკლათ ცხვარი, ძროხა, მოეტანათ ღვინო და დიდებულთა სუფრის საკადრისი სანოვაგე.

**

ცივზედ საამოდ გრილოდა, ათასგვარი ყვავილებით შეჭრელებული ბალახი თვალ-წარმტაცად ბიბინებდა. მრავლად მოჩანდა მწყემსების ფარდულები და მათ შორი-ახლოს სძოვდა დიდ-ძალი საქონელი, ცხვარი, ცხენი.

დიდებული სტუმრები მოვიდნენ. მეფეს მიეგებნენ მისნი მოხელენი, მწყემსნი, სოფლელი გლეხკაცები. მიესალმა-რა ყველა ამათ ხელმწიფე, ჩამოხტა ცხენიდგან და ფართოდ გაბარჯღულ მუხების ჩრდილს მიაშურა. დიდებულნიც მასთანვე შემოიკრიბნენ. აქვე გაშლილი იყო სუფრა, ქართული სუფრა.

**

გახშირებული სტუმრობა იყო, „სმა-ჭამა დიდად შესარგი“. მეფემ ანიშნა ერთგულთ. მწყემსებმა და გლეხკაც-ჭაბუკებმა ელვის სისწრაფით გათიბეს... მეფის მიერ მოწვეულნი სტუმარნი...

**

თამარ მეფის სიკვდილს მოჰყვა შფოთი, დელგმა, დევა ქვეყნისა. გარეშე მტრებს გარდა, სამეფოს აოხრებდნენ თვით ქართველი დიდებულები. ძმა აჰსეოდა ძმას, ყმა—პატრონს. ჯაყელებს და ათაბაგებს თავის თავს გარდა კაცად აღარავინ მიაჩნდათ, მეფეს თავს აღარ უკრავდნენ. დავით მეფის გამეფებას სარგისი არ დაესწრო და გამეფება არ მიულოცა. რაჭის ერისთავი მეფედ აღიარებდა თავის თავს. ეგარსლან ბაკურციხელი ერთხანად მეფობდა იმერეთში. ჭიჭურს ებარა გამგეობა ქვეყნისა და პატრონობა მეფის ოჯახისა. სადუნ მანკაბერდელი ითვლებოდა მეფედ თელავისა, ბელაქნისა და მთიულთა. რომ უმეტესი რიხი მიეცა თავის უფლებისათვის, ამ სადუნმა შეირთო ცოლად მეფის შთამომავალი. ამის შემდეგ იგი უმეტესად გადიდდა, გამძლავრდა, გათავხედდა(?)

ამგვარადვე გაძლიერდა პანკისის ერისთავი თორღული, რომელიც მეფეს განუდგა. ერისთავნი სვანეთისა, ოდიშისა, აფხაზეთისა და გურიისა აგრეთვე აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს...

ამის გამო მეფის ძალა მთლად დაკნინებულიყო. გაიძვერა ერისთავნი და მთავარნი მონგოლთა ნოინების შემწეობით მეფეს არ ასვენებდნენ, წყალს არ უწმენდავდნენ. იგინი ეკრძალებოდნენ არა თუ მეფეს, არამედ მეზობელს მთავრებსაც, ხოლო მთავრად ითვლებოდნენ მაშინ თავადიშვილების ყველა გვარეულობათა წარმომადგენელნი.

ეს ცოტაა კიდევ. მონგოლთა ნოინებისა და ამ ქართველ მთავრების შეთანხმებით საქართველოს ტახტზე ხშირად ერთსა და იმავე დროს, ორ-ორი და სამ-სამი მეფე იჯდა.

ამ წეწვა-გლეჯამ მშვენიერად აყვავებული მეფობა თამარ ნეტარისა პირქვე დასცა, გაათხრა, გაანადგურა, დაასუსტა, დააკნინა.

**

გიორგი ბრწყინვალე რომ გამეფდა (1318—

ფელეტონი

სოსო

(მოთხრობა)

— სოსო რა იქნა, ადამიანო?!.—მზრუნველობის კილოთი და ხმის კანკალით დაეკითხა ქმარს თეკლე.

— მე რა ვიცი, რა იქნა!!.—გაჯავრებით შეუტია ცოლს ხანში შესულმა დიაკვანმა პეტრემ.

— დაგლუპოს ღმერთმა და დაგავსოს, როგორც შენ მე გულს მიკლავ და მიავადებ... შე, ჩემი ცოდვით სავსევ, სულ იმას არ გეხვეწები და გემუდარები, ე ყმაწვილს ნუ სტუქსავ, გულს ნუ უფუჭებ-მეთქი?!. ერთიც ვნახოთ მართლა, შე უბედურო, წავიდეს და თავი დაიხრჩოს, მერე გეცხოვრება-ღა ჩემს ხელში?!.

— მაგან თუ თავი დაიხრჩო, მე შენ გითხრა, მთელი ქალაქი შავებს ჩაიცვამს?!.—გამოჯავრებით წარმოსთქვა პეტრემ, თუმცა გულში შიში შეეპარა, „ღმერთი არ გაუწყრეს და ი ბიჭი არსად გადიჩეხოსო“.

— ჰაი შე სულიან ხორციანად წაწყმენდილო, ე მაგ ყმაწვილის გულისათვის-ღა მიხელია თვალები და გინდა უდროვოდ დამიშრიტო და დამივსო?!.—სთქვა ეს თეკლემ და საჩქარიოდ წამოავლო ხელი გაცრეცილ წამოსასხამ შალს და გარედ გაიჭრა, სასურველ სოსოს მოსაძებნად.

პეტრე მაკარიშვილი ერთი პატარა სოფლის დიაკვანია. ჯერ სოფლის მღვდელი რა არის, იმისი შემოსავალი, რომ პეტრეს ავლადიდება რა იყოს. ამ დიაკვნობაში დაბერა პეტრემ ჯან-ღონე, მაგრამ საწადელს—მთავარ-დიაკვნობას—ვერ ეღირსა. თუ სხვები რაღაც მანქანების წყალობით ადვილად ახერხებდნენ ამას, ეს ყოველთვის ხელ-ცარიელი ბრუნდებოდა ხოლმე, ამ სიტყვებით: „რუსულ ტიბიკონში ეგზამენი დაიჭირე და მიიღებო“. საწყალმა რუსულისა ინჩიც არ იცოდა, ეგზამენი საიდამ უნდა დაეჭირა?!. გული გაუტყდა პეტრეს. მწარედ შეეკუმშებოდა ხოლმე გული, როდესაც ყურს მოჰკრავდა, მავანმა და მავანმა მთავრობა, მღვდლობა მიიღოვო. პეტრეს თითონ რა ჰქონდა, კაჭკაჭისათვის რა მიეცა.

ბედის ჩარხმა მხოლოდ ამ ერთის მხრივ არ აკმარა პეტრეს ნაღველი. პეტრეს თანამეცხედრე თეკლე ნაყოფიერი გამოდგა—ისეთი კაკალი წელიწადი არ მობრუნდებოდა პირველ ხანებში, რომ ქმრისათვის თეკლეს ასული არ მიეძღვნა. თუმცა, რაც ხანი გადიოდა, ძუძუდამ მოშორებასა და მუცლად ღების შორის წელიწადს თვეები ემატებოდა, მაინც გამრავლებას წინ არა უდგარა. ღვთის წინაშე უნდა სთქვას კაცმა, რომ მეზობლები იბრალებდნენ ხოლმე პეტრეს: „საწყლებს, ჯერაც ქალი არ გასჩენიათ“-ო—მაგრამ ცარიელის გულ-შემატკივრობით პეტრეს ღატაკს ოჯახს რა მოეთხოვებოდა.

შვიდი ქალის დედა იყო უკვე თეკლე, რომ მერვე ლოგინობაზე ბიჭუკა „აჩხავლა“. გაეხარდა პეტრეს, რადგანაც აქამდის თავისს სახლში ვაჟის ხმა არ გაეგონა. „განა ქალი-კი შვილი არ არის—ფიქრობდა თავისთვის პეტრე—„მაგრამ ამ ჩვენ სოფლელებს ჰგონიათ, ვისაც ვაჟიშვილი არა ჰყავს, უბედური კაცია, უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულიო. მოკვდება და იმისი გვარი უნდა ჩავარდეს, მოიშალოსო. ამით გულ დამწვარი პეტრე, ეხლა გახალისდა, სიამოვნებისა და სიხარულის ჟრუანტელმა დაურბინა მთელს არსებაში. აქამდის თუ სხვას შენატროდა, ახლა საგულვებელი, ნუგეშის მცემელი შინ მოევლინა.

ცოლ-ქმარი სიღარიბეს, სიწვრილშვილეს არად აგდებდნენ. შრომობდნენ ორნივე თავაუღებლივ, დღე და ღამე. არაფერს არა თაკილობდა პეტრე: სახედრით კოდობით დაფქვავს, შეშა-ფიჩხის მოტანას არ უკადრისობდა. არც თუ თეკლე იყო გულხელდაკრეფილი—სარეცხი, საცხობი, ჭრა, კერვა, ქსოვა, ვენახი, ბოსტანი სულ ამის დაუღალავს ხელებს უნდა ეკისრნა, გაეკეთებინა. ვაჟის ყოლაზედ ხომ ცოლ-ქმართ უფრო უმატეს შრომას, ტკბილის იმედენით გახარებულებმა. მაგრამ მუხთალმა ბედის-წერამ ორ კვირაში ხელიდამ გამოაცალა პეტრესა და აცრემლებულ თეკლეს სამი პატარა ქალი და ეს ამათი ვარდი ვაჟიშვილი. ტიალმა ქუნთრუშა-ხუნაგმა თვალები დასთხარა ანაზდეულად. საწყლებმა ბევრი იცეს თავში, იტირეს და ივაგლახეს, მაგრამ დარდით რა საქმეს გაარიგებდნენ. ისედაც ხანში შესული, სიწვრილშვილით წელში მოხრილი პეტრე ვაჟის სიკვდილმა მთლად დააძაბუნა, გააჭაღარავა.

— რა იყო, ხალხნო,—ეუბნებოდნენ ხოლმე, სანუგეშოდ მოსულნი მეზობლები პეტრესა და, თეკლეს,—თავებს რაზედ იხოკავთ. ისეთი ვინ იქნება შვილის სიკვდილი არ გამოეცადნოს, მაგრამ თქვენსავით-კი გული მაგრე არ გადაუყოლებიათ დარდისათვის. აბა, ჩამოთვალე, ჯერ ახლო-მახლო რამდენი ამხანაგი გყავთ. მახარაანთ გიომ რაღა უნდა ქნას, როგორი ვარდივით ვაჟიშვილები დაეხოცა და შვილის ყოლის იმედი-კი აღარსაიდამა აქვს.

— განა შვილის სიკვდილს გავაკვირვებთ ვისმე,—უპასუხებდა ხოლმე გულ-მწუხარე თეკლე,—მაგრამ ი დალოცვილმა ღმერთმა შვიდ ქალში ერთი ვაჟიშვილით გაგვახარა და ისიც ხელიდამ გამოგვაცალა?!..

— ღმერთმა დანარჩენი შვილები გიცოცხლოთ, ქალი რაღაა და ვაჟი, შვილი შვილია. მევიცი, თუ ქერაანთ მიხა დიაკვანს ოთხი ვაჟიშვილი დარჩა, საწყალ იმის ცოლს ანანას კარგ დღეს აყრიან რძლები და შვილები!!. არ ერჩივნა, ქალები ჰყოლოდა, ლუკმა-პურს მაინც მადლიანად შეაჭმევდნენ, უკანასკნელ დღებს არ ჩააშხამებდნენ, სულსა და ხორცს არ შეუგინებდნენ, ლანძღვით მამასაც საფლავიდან არ ამოიღებდნენ.

— ღვთის განგებას განა ჩვენ წინ აღვუდგებით?—იტყოდა თავის მხრივ პეტრე,—მაგრამ თუ ღმერთს ჩვენთვის არ ეწადა, ნეტავი არც გაგვჩენოდა, ეგრე გულები მაინც არ დაგვწყდებოდა, სიცოცხლეც არ ჩაგვშხამდებოდა.

ეს მწუხარება საწყლებს იმით უორკეცდებოდათ, რომ ცოლ-ქმარს თავიანთ ანგარიშით გადაწყვეტილი ჰქონდა, ამაზე მეტი შვილი აღარ გაგვიჩნდებაო. „რვა შვილი დროით მყოლია, ორზედაც მუცელი გამიცუდდა,—ფიქრობდა თავისთვის თეკლე,—ამაზე მეტი აღარ გამიჩნდება, დედა-ჩემსაც ამაზე მეტი არა ჰყოლია, ჩემს დედამთილს ხომ რვაზე გადასწყვეტია შვილოსნობაო“. მაგრამ დახეთ ღვთის განგებას! გაცუდდა ცოლ-ქმართ ზრახვანი. მიუხედავად დედა—დედამთილის შვილთ ყოლის აღრიცხვისა, თეკლე დაორსულდა, გუნება შეეცვალა. ქმარს გაუმხილა ხვაშიადი თეკლემ. თუმც გაიხარეს, მაგრამ ამ სიხარულს თან სევდა გადაჰკროდა ნისლ-ბურუსივით.

— ადამიანო, იცი, რა სიზმარი ვნახე?!—სიხარულის კილოთი გამოაღვიძა ერთხელ შუაღამისას პეტრემ თეკლე,—ვითომ ვაჟიშვილი გამჩენოდა, დედაშენს ეჭირა ხელში. ვაშლი, რომ გასჭრა, სწორედ იმ ჩვენს უბედურს შალვასა ჰგვანდა, პირ-წავარდნილი. სიხარულისაგან აღარ ვიცოდი რა უნდა მექნა. დაჩოქილი ვიდექი დედი-შენის წინ და ვკოცნიდი ყმაწვილს, რაც ძალი და ღონე მქონდა. ყმაწვილიც, რაღაც ჯადოქრობით, ყოველს თვალის დახამხამებაზე გასაოცრად იზრდებოდა, ასე, რომ რამდენისამე კოცნის შემდეგ იმას კბილებიც შევნიშნე, რომლითაც იგი ლოყას მიკბენდა, თავ-პირზე ხელებს მაცაცუნებდა, ტკბილად მეალერსებოდა, ტიკტიკებდა, ეცინებოდა. ამ გამოუთქმელ ნეტარება-გახარებაში ვიყავ, რომ რაღაც ხმაურობამ გამომაღვიძა. იმოდენად მესიამოვნა, რომ ვეღარ გავძელ და გამოგაღვიძე...

— ეჰ,—გულ-მწუხარედ ამოიოხრა თეკლემ,—საწყალ შალვაზედაც მაგისთანა სიზმარი გენახა, ვითომ იმის ტოლები თუ წლით იზრდებოდნენ, ის დღით იზრდებოდა, მაგრამ ბედკრულ დედას არ ეღირსა იმისი სწავლა, კურსის გათავება, იმისი ხელით მიწის დაყრა, მოვლა, შენახვა. შალვას გახსენებაზე ცოლ-ქმართ ცრემლები მოადგათ თვალებზე, გული აუჩუყდათ.

გავიდა დრო, თეკლემ ჰშობა ვაჟიშვილი. პეტრეს სევდით მოცული ოჯახი გაცისკროვნდა. ამათ არსებას მადლის შუქი ჩაეფინა. ზოგი პეტრეს მეზობელთაგანი, თუ წინასწარ გრძნობდნენ პეტრეს სახლს კიდევ ქალი შეემატებაო და იხარებდნენ, ახლა წელები დასწყდათ, თუმცა ამით რა აკლდებოდათ?!

წამოიზარდა პატარა სოსო. პეტრეს და თეკლეს მზე ამაზე ჩასდიოდათ და ამოსდიოდათ. სასკოლე დროც მოუვიდა სოსოს და ხანს გადასულმა პეტრემ ქალაქში ცხოვრება ამჯობინა ცოლ-შვილით, თუნდა ძვირადაც დასჯდომოდა. „ჩემს სოსოს, სხვა სახლის პატრონებს არ დავაჩაგვრინებ, უპატრონოდ არ დავტოვებ და, თუნდა მშიერი მუცლით გავათენ-დავაღამებო“, იტყოდა ხოლმე თეკლე.

მიაბარეს სოსო სასწავლებელში და დიაკვანი პეტრე თავის ცოლ-შვილით, დედაბუდიანად აიყარა და თავის სოფლიდგან ქალაქს დასახლდა ერთ პატარა ოთახში, ვიწრო, ტალახიან ქუჩაზე, სიიაფის გულისათვის. პირველ წლებში სოსო ხალისიანადა სწავლობდა. პეტრეც რითაც შეეძლო ეწეოდა ოჯახის ჰაპანს, რასაც-კი მოახელებდა თავისს გადატაკებულ მრევლში, ფქვილი, ყველი, ერბო, ლობიო, ხახვი, ნიორი, ქათამი, კვერცხი და

1346 წ.), დაიწყო მთიებმან (ცისკრის ნათელმა) ამოჰქვირვებად:“ დაფანტული სამეფო ნიკოფსიდგან დარუბანდამდე და ტრაპიზუნტიდგან კასპიამდე შემოჰკრიბა და, „გაითრცა აღმაშენებელმან დაიმონა, განავსნა და აღაშენა ქვეყანა, სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა“. და ყველა ეს-კი შესძლო მხოლოდ მაშინ, ოდეს „მოიყვანა ყოველნი ამის ქვეყნის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ტჳერეთისასა და მოსწყვიტა მუნ ურჩნი თვისნი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა თვისნი მორჩილნი.“

**

შორს განუჭვრეტელი მეფეები-კი არა-თუ „ცივზედ დარბაზობას“ არ ჰმართავდნენ, არამედ ისეც დაფანტულ ქვეყანას საუფლისწულოებად ჰყოფდნენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს შორის.

ბერი.

ჩვენებური ამბები

ჭალატყე (შორაპნის მაზრა). ჩვენს სოფელშია ძველი დროის ჯვარცმის საყდარი, რომელშიაც ინახება თომა მოციქულის წმ. ნაწილები (მთელი შუბლი). ხატი, რომელშიაც ასვენია ეს წმ. ნაწილი, და აგრეთვე საყდრის კანკელი, არ იყო შემკული ღირსეულად. ყოვლად სამღვდელო ლეონიდის განკარგულებით შესდგა კომიტეტი ამ ტაძრის გასაახლებლად. კანკელის გაკეთება მიენდო ცნობილს ხელოსანს ვარდენ გოცირიძეს და ხატების შეძენა დაევალა კომიტეტის წევრს სოსიკო მერკვილაძეს. გადაწყვეტილია საყდარი შეამკონ ქართველ წმინდანების. ხატებით ეს ხატებია: დავით და კოსტანტინე, თამარ-წმიდა, დავით აღმაშენებელი, მირიან და სიდონია, ქეთევანი, წმ. ნინო, შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი, არჩილ და ლუარსაბ.

ამ საქმეს ჰხმარდება თვით საყდრის მიერ დაზოგილი ფული და აგრეთვე კომიტეტის მიერ შეკრებილი.

ჭალატყელი.

—

გაგრში არის ძველი' ერთიან დანგრეული ტაძარი. ამ ტაძრის განახლება განუზრახავს მისს უმაღლესობას, პრინცს ალექსანდრე ოლდენბურგელს და თავისი განზრახვა დეპეშით უცნობებია მისს მაღალ ყოვლად - უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსისთვის, რომელსაც პრინცის აზრი ძალიან მოუწონებია და მადლობაც შეუთვლია ამ კეთილ განზრახვისათვის. ამ რიგად ეს ძველის ძველი ნაშთი ქრისტიანობისა მოკლე ხანში ისევ განახლდება.

—

ქუთაისის საბჭოს უკანასკნელ კრებაზედ საყურადღებო იყო 1) განცხადება ხმოსნის ს. ი. წერეთლისა, ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ საგორის ტყეზე—რიონის რკინის გზის სადგურამდე; 2) მოხსენება გამგეობისა ტფილისის ქუჩის მოკირწვლის შესახებ; 3) მოხსენება მისივე, კვირა-უქმე დღეებით დასვენების შესახებ ნოქართათვის და 4) მოხსენება სასანიტარო ქიმისა, რომელიც ითხოვდა, სავალდებულო დადგენილება გამოვსცეთ სადალაქოებისა და საპარიკმახეროების მოწყობის შესახებო. პირველი საგანი ს. ი. წერეთლის განცხადებისა გადაუწყვეტელი დარჩა ჯერ-ჯერობით; მეორეს შესახებ საბჭომ დაადგინა, საცდელად ახლავ შეუდგეს ტფილისის ქუჩის მოკირწვლას. და მესამე, რომელიც ეხებოდა ვაჭრებს და კვირა-უქმით ვაჭრობის ნებართვას, აგრეთვე ნოქრებს, რომელნიც თხოულობდნენ, ვაჭრებს კვირა-უქმით ვაჭრობის ნება არ მისცეთო,—გადაუწყვეტელი დარჩა. სასანიტარო ქიმის განცხადება, დიდის ხნის კამათის შემდეგ, განსახილველად გადაეცა კომისიას.

—

საითაც არ გაიხედავთ, თითქმის, ყოველის მხრიდგან იმას გაიძახიან, რომ ამა და ამ ალაგას თეატრი დააარსესო, აქა და აქა ხალხი ძლიერ შეეჩვია წარმოდგენებსო, ამათ და ამათ დიდი შრომა გასწიეს სახალხო წარმოდგენის გამართვაზედო და სხვა-და-სხვა. ერთის სიტყვით, ყოველის მხრიდგან ჩვენი კორესპონდენტები გვარწმუნებენ, რომ მდაბიო ხალხმა თან-და-თან შეიგნო თეატრის მნიშვნელობა.

დიდი ხანია, მსურდა საზოგადოებისთვის გამეცნო აქაური თეატრის მდგომარეობა, მაგრამ ეს დაპირება დღემდე დაპირებადვე დარჩა...

წარსული 1900 წლის შავი-ქვის მრეწველთა კრებამ, სხვათა შორის დაადგინა, რომ ჭიათურაში აშენდეს თეატრის შენობა და გაიმართოს სახალხო წარმოდგენებიო, რისთვისაც ყოველ წლიურად ას თუმანზედ მეტია გადადებული, მაგრამ, რა-კი შენობის აგება ასე უცებ არ მოხერხდებოდა, ამიტომ ხსენებული თეატრი დროებით მოათავსეს ნაქირავებ შენობაში... მოაწყეს შიგ კარგა დიდი და სრული სცენა, „პარტერი“ და „გალერეა“, სადაც ორასამდე კაცი თავისუფლად თავსდება. დეკორაციების მოწყობაში საბჭოს დაეხარჯა 500—600 მანეთამდე, ხოლო ეს მორთვა-მოკაზმვა ნამდვილი ხელოვნების შეურაცხყოფაა და დამცირება.

ასე იყო, თუ ისე, მაინც მოაწყეს თეატრი; დაიწყეს წარმოდგენების მართვა; წარმოდგენების მართვა მიანდეს ქ-ნს ე. ნიკოლაძეს, რომელსაც თვითოეულს წარმოდგენაში საბჭო აძლევდა თხუთმეტ თუმანს, მაგრამ წარმოდგენები მაინც ვერაფერ სასურველ მდგომარეობაში იყო, ამის გამო აირჩიეს კომიტეტი (ექვსი კაცია) და მიანდეს ჭიათურაში სახალხო წარმოდგენების გამგეობა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ვიფიქრეთ, აწი მაინც გვეღირსება ჭიათურაში ნამდვილი სახალხო წარმოდგენებიო. მაგრამ მოვსტყუვდით. მიიღო თუ არა ხსენებულმა კომიტეტმა ჩვენი თეატრი, ჩაკეტა მისი კარები და განისვენა თავიანთვის უზრუნველად. რამდენადაც ვიცით, ჯერ ამ კომიტეტის წევრებს ერთხელაც არ უნებებიათ შეკრება და ამ საქმისთვის ზრუნვა. მაშასადამე, თუ ამ დრომდე ჩვენი თეატრის კომიტეტიდან არაფერი გვღირსებია, მომავალშიაც ასე იქნება. თეატრის შენობა-კი დაკეტილია და იხდიან ყოველ წლიურ ქირას უსარგებლოდ. ვერ გაგვიგია, რა შეადგენს ჩვენი კომიტეტების ვალდებულებას, რადგანაც მას, ამ დროს განმავლობაში, ჯერ არც ერთი წარმოდგენა არ გაუმართავს და, თუ აქ წარმოდგენები იმართებოდა, ეს სულ ქუთაისის დრ. დასის მიერ (ორი წარმოდგენა ტფილისის დრ. დასმაც გაგვიმართა). მაგრამ დაიწყო თუ არა ქუთაისში სეზონი, ჭიათურის საზოგადოებაც გამოუსალმა წარმოდგენებს, თუმც აქაურს მდაბიო ხალხშიაც ძლიერ არის აღძრული სურვილი წარმოდგენებისა და მუდამ დღე გვეკითხებიან, თუ რატომ აღარ იმართება წარმოდგენებიო!.

ურიგო არ იქმნება შევეკითხოთ კომიტეტის წევრთ, თუ რას აპირებენ, ან რა ჰქონდათ აზრად, როდესაც ეს უფლება ჩაიბარეს და თავიანთ თავზედ მიიღეს ამ საქმის გამგეობა?! ნუ-თუ საკმარისია, რომ მარტო სურვილი გქონდეს კაცს, რომელიმე საზოგადო საქმის სათავეში მოქცევისა და სხვა არაფერი!..

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რამდენად უანგარო უნდა იყვეს იმ ზოგიერთთა შრომა და მეცადინეობა, რომელთაც ალაგ-ალაგ, არც ფული აქვთ, არც შენობა თეატრისთვის და სხვა ათასი დაბრკოლება უშლისთ ხელს, მაგრამ თავს მაინც არ ზოგავენ და თავიანთის ენერგიულის შრომით მიზანს აღწევენ, როდესაც ჩვენ პატივცემულ პირთ, შენობაც მზად აქვთ, თეატრისთვის ყოველი მოწყობილება, კარგა ბლომად ფულებიც ამ საქმის საწარმოებლად, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხებიათ?. რა არის ამის მიზეზი? რასაკვირველია, უენერგიობა და საქმისადმი უსიყვარულობა და უხალისობა, თორემ სხვა რომ არა იყვეს-რა, უსარგებლოდ თეატრის შენობისთვის ქირის გადახდამ მაინც უნდა დააფიქროს ეს ვაჟბატონები.

სასურველია, ვიცოდეთ, დიდ-ხანს გასტანს ასეთი შრომა-მოღვაწეობა ჩვენის თეატრის კომიტეტსა თუ არა!?

სიმართლე.

რუსეთი

პარიჟის რუსულ უმაღლეს სასწავლებლისთვის ერთს რუსის ქალს შეუწირავს 30,000 მანეთი.

— ხარკოვის ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში აპირებენ სტუდენტთა სალიტერატურო-სამხატვრო წრე დააარსონ.

— ლ. ნ. ტოლსტოი სრულიად მორჩენილა, მეტს დროს სეირნობაში ატარებს, მუშაობს აგრეთვე თავის სამწერლო ოთახში. ექიმები მაინც ურჩევენ ჯერ-ჯერობით მოსკოვში ნუ აპირებ წასვლასო.

— ტომსკის უნივერსიტეტის შესანახად 1900—1901 საანგარიშო წელს დახარჯულა—500,528 მ.

ამავე წელს 55 ექიმს და 43 იურისტს დაუსრულებია სწავლა. თვითოეულის შესანახად წელიწადში მოდის 5,107 მ. ოთხი წლის განმავლობაში თვითოეული იურისტი დასჯდომია ხაზინას 20,428 მ. თვითოეული ექიმი—30,642 მან.

(»Иркут. Вѣд.»).

— იალტის ქალაქის გამგეობის წინაშე 40 მუშას შუამდგომლობა აღუძრავს საკვირაო სკოლის დაარსების შესახებ.

— სარატოვის სასამართლო პალატის სესიამ 16 ნოემბერს გაარჩია საქმე 16 გლეხისა, რომელთაც მთავრობის წინააღმდეგობა ბრალდებოდათ. საქმის გარჩევას საზოგადოება არ დასწრებია. სასამართლომ ორი დამნაშავე სრულიად გაანთავისუფლა, 11 ყოველივე ღირსების ჩამორთმევით 1½ წლით გამასწორებელ რაზმში ყოფნა მიუსაჯა, ევდოკია მაროვისას ყოველივე ღირსების ჩამორთმევით 1½ წლით ციხე მიუსაჯა.

(„Там. губ. Вѣд.“).

უცხოეთი

ბულგარია. როგორც სოფიის გაზეთებიდგანა სჩანს, ბულგარიაში კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ ამბავს, რომ მთავარმა ფერდინანდმა აპატივა სასჯელი ბულგარიაში ყველაზე უფრო გავრცელებულ გაზეთ „სალამოს ფოსტა“-ს რედაქტორს შანგოვს, რომელმაც თავის გაზეთში შეურაცხყო ხონთქარი, და ამისათვის საოლქო სასამართლომ 7 დღით დაპატიმრება მიუსაჯა.

სერბია. სოფიის გაზეთ „სალამოს ფოსტა“-ს ბელგრადელ კორესპონდენტს უსაუბრია სერბიის ერთ წარჩინებულ მოღვაწესთან. მოსაუბრეს უთქვამს კორესპონდენტისათვის,—ცინცარ-მარკოვიჩის სამინისტრო დღე-მოკლე იქნება, თუ უკიდურეს ღონისძიებას არ მიჰმართა—არ გააუქმა კონსტიტუცია და სრულიად დამოუკიდებელი მმართველი არ გახდაო. ჯერ-ჯერობით ცინცარ-მარკოვიჩს ერთი სამძიმო საქმე აწევს კისერზე,—როგორმე მოახერხოს, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიიღოს მეფე ალექსანდრე და დედოფალი დრაგაო. მაგრამ, კიდეც რომ განახორციელოს ეს საქმე, პრემიერის მდგომარეობა მაინც არ იქნება მკვიდრიო.

ბევრად უფრო ძნელი საქმე უდევს წინ ახალს მთავრობას: ეს გახლავთ—საკითხი მემკვიდრეობის შესახებაო. მეფე-დედოფალი ყოველის ღონისძიებით სცდილობენ, რომ მემკვიდრეთ დედოფლის უმცროსი ძმა—ლუნევიცა გამოაცხადონ, მაგრამ, ვიმედოვნებთ, მათი წადილი არ განხორციელდება: სერბიის ხალხი არაოდეს არ დასთანხმდება, რომ მემკვიდრედ სრულიად გაუნათლებელი და ხასიათ დაუმჯდარი კაცი აირჩიონო.

იტალია. როგორც გაზ. „Temps“-ი იუწყება, მთელს იტალიას ამღელვარებს ოპოზიციის მოძრაობა, რომელიც ცოლ-ქმრის გაყრის კანონ-პროექტმა გამოიწვიაო. პალატაში წარუდგენიათ თხოვნა, რომელზედაც 3,000,000 კაცს უწერია ხელი. მარტო ხელის მომწერთა სია 177 ტომს შეიცავსო.

ამას გარდა პალატისათვის წარუდგენიათ კიდევ რამოდენიმე თხოვნა, რომელზედაც, მილანელ მანდილოსანთა ჩაგონებით, მარტო დედა-კაცებს უწერიათ ხელი. ჰგონებენ, პალატაში დიდი ბრძოლა ასტყდება ამ კანონ-პროექტის გამოო. მხოლოდ ვარაუდიბენ; ცანარდელის სამინისტროს მდგომარეობას ბევრს ვერას დააკლებს მოპირდაპირეთა პირველი იერიში, რადგან იგი მიმართული იქნება უფრო თვით კანონ-პროექტის წინააღმდეგ, და არა ცანარდელის სამინისტროისაო. ეს მოსაზრება მითაც მართლდება, რომ პალატამ ისეთი კომისია აირჩია. რომელიც ზემოხსენებულ კანონ-პროექტის მომხრეაო.

საფრანგეთი. როგორც „საფრანგეთის აზიის კომიტეტი“-ს ყოველდღიური ჟურნალი იუწყება, ამ კომიტეტის წევრთ, რომელთა შორის ბევრი ცნობილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ურევია, არა ჩვეულებრივი კრება მოუხდენიათ. ამ კრებაზე ყოველის მხრით გაუსინჯავთ საფრანგეთ-სიამის ხელშეკრულობა და დაუდგენიათ,—მოვაგონოთ რესპუბლიკის პრეზიდენტს ლუბეს და ვთხოვოთ, ნუ დაამტკიცებს ამ ხელ-შეკრულობას, რადგან იგი დიდად საზარალოა საფრანგეთისათვის შორეულ აღმოსავლეთშიო.

ჩინეთი. ერთ ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილია თარგმანი სარევოლიუციო მოწოდებისა, რომელიც კანტონში გაუკრავთ სახლების კედლებზე.

„თეთრი ეშმაკები გვიქადაგებენ სრულიად ცრუ სარწმუნოებას, რომელსაც დიდი უბედურობა მოაქვს ჩვენის ხალხისათვის. რომ უფრო ადვილად მიგვაღებინონ თავისი სარწმუნოება, თეთრი ეშმაკები საწამლავიან წამალს გვაძლევენ. უკვე დამტკიცდა, რომ იმ წამლების შესაზავებლად იგინი ხმარობენ ბავშვთა გულს, თირკმლებსა და თვალებს, რომელსაც ერთად ჰნაყვენ როდინში. იმ ჩინელთ, რომელთაც თეთრ ეშმაკების სარწმუნოება მიიღეს, თავის მონებად ხდიან და ჩვენ წინააღმდეგ ომის დროს მოწინავე რაზმებად გამოჰყავთ ხოლმე. რაიცა შეეხება მანდილოსანთ, რომელთაც ზღვა გაღმელ ეშმაკების სარწმუნოება მიიღეს, ისე უდიერად, ისე სამარცხვინოდ ექცევიან, რომ ენით არ გამოითქმის. ეს ხალხი სწორედ ღვთის რისხვას დაგვატეხს ჩვენ თავსა. ნუ ერწმუნებით მათს მცნებას. ამ გვარ სარწმუნოების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ყაჩაღებსა და ზნე-დაცემულ კაცებს, რომელსაც ქრისტეანენი მოსყიდვითა და ათას გვარ სხვა-და-სხვა დაპირებით იბირებენ თავის მხარეს—ნუ გეშინიანთ, ჩვენ დაგიფარავთო; მაგრამ ვისი დაფარვა შეუძლიათ მათ, როდესაც ჩვენი მუშტებისაგანაც ვერ დაუფარავთ თავიანთი თავი. მაშასადამე, რასაც იგინი ამბობენ, მტკნარი, უსინიდისო სიცრუეა. ვაფრთხილებთ ყველას მოერიდოს იმ საზიზღარ მაცდურთ. ყველა, ვინც მათ ეკლესიაში დაიარება, მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის. ვინც-კი ამ მოწოდებას წაიკითხავს, ვსთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ყოველსავე ზემორე აღბეჭდილს, რათა თავიდგან აიშოროს უდიდესი უბედურობანი“.

ეს მოწოდებაო—დასძენს გაზეთი—თუმცა პირდაპირ არა ჰქადაგებს ქრისტიანეთა წინააღმდეგ აჯანყებას, მაგრამ მთელს გუან-დუნის მკვიდრთა შორის ისეა მოდებული ფარული

ვინ მოსთვლის ათასი რამე. სულ პეტრეს წელ წამხდარ, ძვალ ტყავად ნაცევს მერანს უნდა ჩამოეცუხცუხებინა ქალაქში. თავის დაგვარად თეკლე და ამისი სამი ქალიც ირჯებოდნენ. ერთი ქალი-კი პეტრემ სოფელში მყოფობაშივე მიათხოვა ერთ საწყალ, უდედმამო დიაკვანს. არა თაკილობდნენ სხვათა სარეცხის დარეცხას, სხვათა მჭრელ-მკერვალობას. ამ რიგად, თუმცა საწყლურად, დღედღეურად, მაინც იოლათ მიდიოდნენ. თეკლეს ის ატანინებდა ამ ძაღლ-უმადლო ცხოვრებას, რომ ყოველ დღე თავისს საყვარელ სოსოს უყურებდა, უალერსებდა. ამაში იკლავდნენ ბოლმას. ამათი ტანჯვის გამქარვებელი სოსო იყო. მოჩიტდა სოსო. მიეჩვია სხვა-და-სხვა წიგნების კითხვას. ცოტა არ იყოს, საკლასო გაკვეთილებზე გულს იცრუებდა. პირველ ხანს თეკლე და პეტრე რას შეამჩნევდნენ. ერთ წელიწადს „პერეეგზამენოვკით“ ძლივს გადავიდა. მეორე წელიწადს მესამე კლასში დარჩა. ახლა-კი ძრიელ შეწუხდა სოსოს დედ-მამა.

— ეგ რა გვიყავ, შვილო, ყელები რაზედ დაგვჭერ,—ეუბნებოდა სისხლ-გამშრალი, გალურჯებული პეტრე, იქვე კუთხეში ცხვირჩამოშვებულ, გაბუტულ სოსოს,—ქვეყანაზე, რაღა უნდა ვსთქვათ, სადღა გაგვესვლება. „შენი სოსო გადავიდა მეოთხე კლასშიო»? მკითხავენ, რა ვუპასუხო. ვაი სირცხვილო, ვაი თავსლაფ დასხმავ. ასე იტყვიან: »ეგ მუდრეგი, ტყავს რაზე იძრობს, რას იკლავს თავსა, თუ-კი უხეირო ჰყავს, ცხვირიდამ მაინც არ აღენს ძმარსა“.

— შენ შემოგევლოს თავს დედა, შვილო, მიუბრუნდებოდა ხოლმე სოსოს თეკლე, როდესაც დაატყობდა, რომ პეტრემ უკვე გული იჯერა ჯავრობით, თუ ტკბილის დარიგებით. —ხომ იცი, შვილო, შენა ხარ ჩვენი სასოება, ჩვენი იმედი. მთლად შენ ხელშია ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი ბედი. ისწავლი კარგა, ჩვენც ამ ქვეყნად გვექნება წილი, თუ არა და ჰრაქივით ჩავქრებით, ჩაქრეს შენი ავად მომდომე, შენი დამწყევლი. აგერ, შვილო, ჩვენებიანთ მიშა და კოლა გადასულან, დედმამა გაუხარებიათ. შენ რაღა უნდა სთქვა, ამ ზაფხულს, რომ სოფელში წავალთ. მე-კი სირცხვილით მეზობლებში თავს ვერ გამოვყოფ, შენი კი არ ვიცი, ყველას პასუხი შენ თვითონ გაე.

პირველმა მწვავე გრძნობამ გაირა, დამშვიდნენ ყველანი. ზაფხულშიაც, როგორც იყო, რის ვაი-ნაჩრობით, ნერწყვის ყლაპვით—მიაფუჩეს სოსოს დარჩომა. რაკი ერთი სოსომაც პირი აიღო სოფლად გასვლისა, დანარჩენი თავის თავად მოეწყო... მეორე წელიწადსაც ძლივს წვალებით გადავიდა სოსო მეოთხე კლასში. სოსო ამ წელს ათავებდა ამ სასწავლებელში სწავლას, ამიტომ კარგად უნდა ესწავლა, რომ ამაზე მაღალ სასწავლებელში გადასულიყო—პეტრესა და თეკლეს გული უფანცქალებდათ.

— რა დღე იქნება, ჩემი საყვარელი სოსო —ში მიღებული ვნახო. მაშინ ჩემზე ბედნიერი დედა ქვეყანაზე აღარავინ იქნება, თუნდა ერთი დღე ჭირი არ მენახოს, ისე ვიფიქრებ.—ეუბნებოდა ოცნების ბადეში გახლართული თეკლე ქმარს.

— რას ამბობ, ადამიანო, როგორც მეუბნებიან, სოსო თურმე ძალიანა კოჭლობს სწავლაში. რამდენს ვეჩიჩინებით, მაგრამ ეგ თავისას არ იშლის—ძრიელა აქვს გული აცრუებული სწავლაზე. არ ვიცი, მაგას ფიქრში რა უტრიალებს!!. ეგ თუ კარგად არ შევტუქსეთ, არ იქნება. შენც მეტის მეტად ანებივრებ, არც მაგრე იქნება, განა სულ თავის ნებაზე უნდა ატარო?!. აბა, ერთი შეუტიე ხოლმე, მაშინ ეგეც გონს მოვა...

შეტუქსვაც ბევრი იყო, გაჯავრებაც, მაგრამ სოსომ მაინც პირველ მეოთხედში ნიშნებად სწავლის სიავ-კარგისა ორები მოიტანა ოთხს საგანში. გაცეცხლდა პეტრე, გულს მოეჭიდა,—შე, სულ ძაღლის შვილო, შენა რა ღმერთი გაგწყრომია? სად ეშმაკებსა და ქაჯებში გაქვს, ე ფიქრები, რომ სწავლისათვის გულის ყური ვერ გაგიდევნებია?! გონია ჰფიქრობ, ერთად-ერთი ვაჟი ვყევარ ჩემს დედმამას, ჩემს ფეხებს, რას მიზამენ, ხო არა მცემენ, სახლიდამ არ გამაგდებენო!!. არა, შვილო, თუ ემაგისთანა უხეირო იქნები, დედმამის შემარცხვენელი, არ მინდიხარ, წადი, საითაც გინდა, დაიკარგე, თვალით არ დამენახვო!!

— რატო არა სწავლობ, შვილო, დედა გენაცვალოს?!. ვერა ხედავ, შენი ტოლი ჩვენი სოფლელები X—ში გადავიდნენ, როგორ მშვენივრადა სწავლობენ? ყველგან იმათი სიყოჩაღის ხმა ისმის. შენ რაღა დაგემართა? არა გშიან და არა გწყურიან. ერთი გაახარე დედაშენი სწავლითა, რომ მერმის შენც იმათსავით გამოპრანჭული დაგინახოს ჩემმა დარდისა და ბოღმისაგან ჩინ გამოლეულმა, გაწყალებულმა თვალებმა?!.—ჩასჩიჩინებდა თავის მხრივ თეკლე...

—

— კაცო, კაცო, არ გესმის?!—ფეთიანივით შემოიჭრა თეკლე ოთახში.

— რა იყო, ადამიანო, რა? ხომ არ გაგიჟდი?—შეუტია თეკლეს ქმარმა.

— ღმერთმა ნუ იცის შენი თავი! მთელი ქალაქი დავირბინე, სასწავლებელშიაც ვიყავი, მაგრამ სოსო ვერსად ვერ ვიპოვნე. შენ გენაცვალე, სოსო, შვილო...

და თეკლემ ხმა მაღლა ტირილი ამოუშვა, თან მუხლებში და პირის სახეში იცემდა მუშტებს. რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— რა დაგემართა, დედაკაცო? მართლა გაჰგიჟდი თუ რა მოგივიდა,—ხელმეორედ შეუტია ქმარმა.

— გიჟიც შენა ხარ და სულელიც,—ტირილით მივარდა თეკლე ქმარს,—წამო, წამომყევი ჩქარა, მოვძებნოთ, ი ბიჭმა თავი არსად დაიხრჩოს?!

— თავი-კი არა, ფეხები,—ყოყმანობდა ჯერ კიდევ პეტრე.

— შე დასაყრუებელო შენა, ამ ერთი კვირის წინად არ იყო ერთმა შეგირდმა დაიხრჩო თავი?! სახლში გასჯავრებოდნენ, „არა გრცხვენიან, რატომ არა სწავლობ, ზარემ ცოცხალი არ იყოო“. ისიც ამდგარიყო და ხიდიდამ ფეხები ეფშხლიკნა მტკვარში, გამოჯავრებულსა... ამ სიტყვების თქმაზე პეტრეს ქალებმაც ტირილი მორთეს. ასტყდა ერთი ჟრიამული, გარეშემო მეზობლები ამათ მოთქმა ტირილზე სულ აქ შეიყარნენ.

— ადექ, მამილო, შენ გენაცვალე,—ერთ ხმად ეხვეწებოდნენ ქალები პეტრეს,—წადით მოსძებნეთ სადმე, შენ და დედა ჩემმა სოსო,—იქნება ჯერ ცოცხალს მიუსწროთ. შენ გენაცვალეთ, ძმაო, სოსო. შენი ფუნჩულა, გაბადრული სახე ვეღარ უნდა ვნახოთ?!. გულში ვეღარ უნდა ჩაგეკრად...

ამათის ცოდვით მეზობლებიც იმდუღრებოდნენ—ასე ეგონებოდა კაცს, საყვარელი არსება უკვე უსულოდ კუბოში უწევთ და იმას დასტირიანო...

—

მეორედაც ცოლ-ქმარნი უნუგეშოდ დაბრუნდნენ. მოდის თეკლე სახლისკენ, მაგრამ მუხლები ეკეცება, თავ-პირში იცემს და იცრემლება, საბრალომ გულის ფიცარი ჩაიგდებინა.

— სახლში რა მინდა, რომ წამოვიდე, მეც წავალ, იმასთან თავს მოვიკლავ, წყალში გადავარდები?!. უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლიან... ჩემო ვარდო, ჩემო ნუგეშო... წამოიძახებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ გულ-საკლავად თეკლე.

— პატარა ხანს მოიცა, ადამიანო, იქნება სოსო სახლშიაც დაგვიხვდეს, რა დაგემართა?!. სხვაც არა იყოს-რა, გამვლელ-გამომვლელმა, რომ გაგიგოს, რას იტყვიან, ე ადამიანი გაგიჟებულა, თუ რა მოსვლიაო...

მივიდნენ სახლში, მაგრამ აქაც პირკატა ეცათ, სოსო არსად იყო. პეტრეს ქალები მოუთმენლად ელოდებოდნენ დედ-მამას, ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდათ და, რა დაინახეს უსოსოვოდ დაბრუნდნენო, უარესი ტირილი და ვაება მორთეს.

ახლა-კი მეზობლებსაც ეჭვი შეეპარათ, პოლიციას ეცნენ შესატყობინებლად... შუაღამე გადასული იქნებოდა. მეზობლებიც შემოეცალნენ. იმათაც მოსწყინდათ ამისთანა საცოდაობის, ცეცხლის ყურება.. ამ უბედურებასა და მოთქმაში იყვნენ, რომ უცბად კარებმა ჭრიალი დაიწყო—ყველანი შიშისაგან ზეზე წამოცვივდნენ.

— ვინა ხარ ემანდ, შესძახა პეტრემ...

მძიმე-მძიმედ, მორცხვად, როგორც იყო, შეჰბედა სოსომ სახლში შესვლა. უცბად ყველანი სახტად დარჩნენ, მოჩვენება ეგონათ, მაგრამ რა დარწმუნდნენ, მართლა სოსოაო, იგრიალეს და ყველა ერთად მისცვივდნენ სოსოს. ზოგი პირზე ჰკოცნის, ზოგი გულში იხუტებს, ზოგი ხელებს უკოცნის—სოსოს-კი ვერ გაუგია, რა არის ამათ თავს.

— შვილო, რაზე დაგვხოცე, შენ გენაცვალოს შენი დედ-მამა, ეს შენი დები. რო დაიგვიანე, ასე ვიფიქრეთ—წახვალ და წყალში გადავარდები...

გარს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ტკბილსანეტარო ცრემლს აფრქვევდნენ—ასე ეგონათ, მეორედ გაგვიცოცხლდა ჩვენი ნუგეში, ჩვენი სოსოო.

ე. მ—შვილი.

მღელვარება, რომ ცხადი აჯანყებაც ადვილად მოსალოდნელიაო.

ამ გვარივე მდგომარეობა სუფევს სიჩუანსა და ჰუნანში, თუმცა ადგილობრივი გუბერნატორები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს და სასტიკად სჯიან მეამბოხეთ. ინგლისის მოთხოვნილებისამებრ, სიკდილით სჯიან ყველა ჩინელს, რომელსაც-კი დაჰბრალდება რომელისამე მისიონერის მოკვლა, მაგრამ ჩინელი განა შეუშინდება რაიმე სასჯელსაო— ამბობს დასასრულ გაზეთი.

თეატრი და ხელოვნება

ავლაბრის თეატრი. ბოლოს დროს არა ერთხელ აღუნიშნავთ გაზეთებს, რომ დაბალმა ხალხმა შესამჩნევად გამოიღვიძა, თეატრის მოთხოვნილება დაებადა და მრავლად ესწრება იაფ-ფასიან წარმოდგენებსაო. მერე უფრო ვისი მოვალეობაა ამ სიმპატიურს და კანონიერს მოთხოვნილებას ხალხისას ანგარიში გაუწიოს, დააკმაყოფილოს? რით ვერ დარწმუნდა ჩვენი დრამატიული საზოგადოება, რომ ქართულ თეატრს კაი ხანია ქართველმა დიდ-კაცობამ ზურგი ადრიკა, წარმოდგენებს აღარ ესწრება!? სამაგიეროდ ესევე არ ითქმის დაბალ ხალხზე. ზემოხსენებულმა საზოგადოებამ თავის არსებობის ძალა ამ ხალხში უნდა მოიპოვოს, თუ სურს არსებობა. მართალია, კვირაობით ეს საზოგადოება მართავს „იაფ-ფასიანს“ წარმოდგენებს, მაგრამ ეს წარმოდგენები მხოლოდ შედარებით არის იაფ-ფასიანი და ხალხისთვის მაინც ხელმისაწდომად არ ჩაითვლება. ამას გარდა, როგორ უნდა დაესწროს ამ ვითომდა იაფ-ფასიან წარმოდგენებს მაგ. ავლაბრელი, ორთაჭალელი და ნავთლუღელი, თუ გინდა ფასიც არ ეძვირებოდეს. აი სწორედ ამ განაპირა მცხოვრებთათვის უნდა იზრუნოს ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ, თუ სურს ნამდვილი სამსახური გაუწიოს სამშობლო თეატრსაც და ხალხსაც.

მომავალ დრამატიულ საზოგადოების კრებაზე განსახილველად წარსადგენ მუხლთა შორის აღნიშნულია მუხლი პროვინციებში წარმოდგენების მართვა-მოწყობის შესახებ. ჩვენის ფიქრით პროვინციებში უფრო გაუძნელდება საზოგადოებას საქმის მოწყობა. უმჯობესია აქვე ქალაქში გამოიჩინოს მხნეობა, მეტადრე ზამთრობით. უსაღსრობა აქ არაფერ შუაშია, საქმე მხნეობა და მეცადინეობაა. ამის აშკარა მაგალითს წარმოადგენს ბ-ნი მურაშკო თავის თეატრით. მურაშკო თუმცა ოფიცერია და მგონი, ყველამ ვიცით აფიცერი რა შეძლების და კაპიტალის პატრონია, მაგრამ ამ პატივცემულმა კაცმა ეს საქმე მოაწყო, მარტო თავის მეცადინეობით და ენერგიით.

კაცმა იშრომა, წარმოდგენებისთვის საუცხოვოდ მოწყობილი შენობა მოგვცა; ახლა მიბრძანდით, ჰმართეთ წარმოდგენები და ნუ ჩააგდებთ საქმეს ულირსთა ხელში, რომ წარმოდგენების სახელით მათმიერ გამართულმა მასხარაობამ ხალხს თეატრი არ შეაძულოს და ხალისი არ დაუკარგოს წარმოდგენებზედ სიარულისა.

კვირას 1 დეკემბერს, საღამოს ბ-ნ მურაშკოს თეატრში მოყვარულთა დასმა წარმოადგინა „ციმბირელი“, 4 მოქ. კომედია ავქ. ცაგარლისა. თუ რა დიდი მოთხოვნილება ჰქონია ხალხს თეატრისა, იმითიც დარწმუნდებით, რომ ამავე დღეს, 1 დეკემბერს ავჭალის თეატრის დასმა დილით გამართა წარმოდგენა ავლაბარში და შენობა ხალხს ძლივს იტევდა. საღამოს წარმოდგენას, ეგონათ, აღარავინ დაესწრობაო, მაგრამ უფრო ბევრი ხალხი მოაწყდა თეატრს. დღეში ორი წარმოდგენა ერთსა და იმავე ალაგას და ორსავე წარმოდგენაზე დიდძალი დაბალი ხალხის დასწრება, სწორე მოგახსენოთ, დაუჯერებელი ამბავია. სხვაფრივ რით აიხსნება ეს გარემოება, თუ არ ხალხის დიდის მოთხოვნილებით? მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს, ვისიც ჯერ არს, რომ ეს მოთხოვნილება ხალხისა შესაფერისად არ დააკმაყოფილოს. თუ „ციმბირელის“ წარმომდგენელმა ასე სუსტად ჰმართა წარმოდგენები შემდეგშიაც ბ-ნ მურაშკოს თეატრში, შესაძლებელია ხალხი სულ დაფრთხეს, თეატრი შესძულდეს. კაცების პერსონალს კიდევ არა უშავდარა, ქალები არდგენდნენ ერთობ გლახად. ქ. ქურულისა (ნარგიზას როლში) სრულიად შეუფერებელი იყო. ამიტომ თვითონაც იტანჯებოდა და მაყურებელნიც დასტანჯა. ეს დასი აბუჩად იგდებს ხალხის თავმოყვარეობას და საჭიროა ხმა აიმაღლოს ვინმემ. ჰკრეფავს, ვინც მოხვდება და შეჰყავს სცენაზე სათამაშოდ, რა არის გამოცდილ მსახიობთა მოწვევით ფულის გაღება არ დაგვჭირდესო. თუმცა-კი თეატრს ისეთი კაი შემოსავალი აქვს, რვა-ცხრა თუმანი, რომ თითო-ოროლა გამოცდილ მსახიობთა მოწვევა ყოველთვის შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ ხარჯი იმდენი არა მოსდისრა ხსენებულ დასს, რომ ეს შესაძლებელი არ იყოს.

ვიმეორებ კიდევ, თუ ბ-ნ მურაშკოს თეატრში ქართულ წარმოდგენების საქმე ასე წავიდა, ხალხი, რაღა თქმა უნდა, სათოფეზედაც აღარ მიეკარება თეატრს. ვაქცევთ ამას ჩვენის დრამატიულ საზოგადოების ყურადღებას, რომ ამ საზოგადოეპამ თვითონ იკისროს იქ წარმოდგენების მართვა, თითო-ოროლა გამოცდილი არტისტები გზავნოს ხოლმე წარმოდგენებზე და შესაფერი რეჟისორიც მიუჩინოს.

ს. შინდელი.

სასამართლო

შაბათს, 30 ნოემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე რაჭის მაზრის სამმართველოს საქმის მწარმოებლად ნამყოფის ტიტ. სოვ. ს. ავალიანისა, რომელსაც დანაშაულობის ჩადენა ბრალდება სამსახურის დროს. მას ბრალდებოდა სიყალბის ჩადენა და ჯარში გაწვეულთაგან ქრთამების აღება. სასამართლოში დაბარებული იყო მრავალი მოწმე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ს. ავალიანი და მიუსაჯა ყოველივე უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და 2 წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

—

ამ დღეებში ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე მ. გ. მაჩაბლისა, რომელსაც სასამართლოს შეურაცხყოფა ბრალდებოდა. სასამართლომ მ. გ. მაჩაბელს მიუსაჯა 7 დღით დაპატიმრება.

—

10 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩევა საქმე კომმერსანტ ი. ი. ერგიეს მოკვლისა.

„ივერიის“ ფოსტა:

ბ. მ. ბეთანელს. თქვენი მოთხრობა ,,წავიდეთ‘‘! არ დაიბეჭდება.

მ. ადამაშვილს, თქვენი მოთხრობა „სიკო“ არ დაიბეჭდება.

№—ს. თქვენი თარგმნილი მოთხრობა ,,მდგმური“ ან ჩეხოვისა არ დაიბეჭდება.

ხოზი. ჯ—ჯუს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება,

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 დეკემბერი.

პეტრაკოვი. ზავერცეს სადგურზედ მატარებელი ექსპრესი შეეჯახა საქონლის მატარებელს. მგზავრებს უბედურება არ შეემთხვათ.

რომი. დეპუტატების პალატაში პრინეტიმ განაცხადა, რომ არ არის ცნობა არსებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა უარყოფის შესახებო. იტალიას ალბად არ ექნება დაბრკოლება მოლაპარაკების დროს და ჰგონია, ავსტრია არ დააბრკოლებს იტალიის მეღვინეობის ნაყოფის შეტანას იმპერიაში.

კარაკასი. მატულობს მოძრაობა პრეზიდენტის კასტროს გადასაყენებლად და ახლის ასარჩევად.

ლონდონი. პარლამენტს ეუწყა სადიპლომატო მიწერ-მოწერა ვენესუელის კითხვის შესახებ. გერმანია წინადადებას იძლევა საერთო დემონსტრაცია მოახდინონ ზღვით. ინგლისის საადმირალომ ურჩია, შეეკრათ ვენესუელის ზღვის პირის ციხე-სიმაგრეები. გერმანია თანახმაა შეიპყრან ვენესუელის ხომალდები. ლანსდოუნგმა დეპეშით აცნობა ბერლინელ ელჩს, ინგლისი თანახმაა ამაზედო. 19 ნოემბერს ვენესუელის ბრიტანიის ელჩმა მიიღო ინსტრუქცია ულტიმატუმის შესახებ.

ნოვი-მარგელანი. 9 ს. და 50 წ. დილით შეირყა დედამიწა და სამს წამს გაგრძელდა. 11-ის ნახევარზე კვლავ იძრა მიწა, უფრო სუსტად. ძვრის ღელვა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდგან სამხრეთ დასავლეთისკენ იყო მიმართული.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ბალფური ამბობს. საშაქრო ხელშეკრულობა ისეთს არას შეიცავს, რაც უპირატესობას არ აძლევდეს ქვეყანას. ლორდთა პალატაში აღნიშნეს, რომ მთავრობამ შეერთებულ შტატებისაგან მიიღო წინადადება დააშოშმინოს ვენესუელის კრტიმლვა სამედიატორო სამართლით.

შტუტგარტი. გარდაიცვალა რუსის ელჩი კანტეუზენი.

ბერნი. კანონდებულებათა დამატება ციხეში ჩასმას ემუქრება დამნაშავეთა საქციელის წამქეზებელთ. ეს პროექტი მიმართულია წინაალმდეგ ანარქისტთა ქადაგებისა დიდებად ხელმწიფეების მკვლელებისა.

4 დეკემბერი

პეტერბურგი. 1093 წლის 4% ობლიგაციის ახალი კუპონების და ტალონების გაცემა სახელმწიფო კომისიის მიერ მოხდება 1903 წლის მარტის 1 რიცხვიდგან 1904 წლის სეკდემბრამდისო.

ლონდონი. ლორდთა პალატაში ლანსდონმა სთქვა, რომ ინგლისი და გერმანია შეთანხმდნენ; იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელ რეპრასალურ ზომებმა არ გასჭრა, მაშინ ყველა ვენეცუელის პორტების ბლოკადას შეუდგებიანო; ვენეცუელის ტერიტორიის დაპყრობა არავის აზრად არა აქვსო.

კარაკასი. ვენეცუელამ უპასუხა იტალიას მოთხოვნილებანი მაშინ იქმნებიან მხედველობაში მიღებული, როცა რევოლიუცია ჩაქრებაო.

ლონდონი. ლორდთა პალატამ მიიღო კანონპროექტი ჯარის მოწყობის შესახებ.

ვენა. ჩეხთა კლუბმა ერთხმად მიიღო პარტიის კომიტეტის მიერ შედგენილი მემორანდუმი ენის შესახებ.

ლონდონი. ლიბერალები არ არიან კმაყოფილი ინგლისის გერმანიასთან შეთანხმებისა.

მიუნხენი. გარდაიცვალა ანატომი ფონ-კუპფერი.

ლონდონი. სათემო პალატაში კარნბორნს შეეკითხნენ: მართალია თუ არა ის ხმები ვითომც ინგლისს მოესურვებიოს ვენეცუელისა და მისი სადაო საქმის განსახილველად სამედიატორო სამართლისთვის გარდაცემა, მაგრამ ვენეცუელას ამაზედ უარი განეცხადებიოს. კარბორნმა ეს ხმები უარ ჰყო.

პარიჟი. მინისტრთა საბჭოში დელკასემ მიუთითა იმ გარემოებაზედ, რომ უკანასკნელს შემთხვევებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მთრიგებასთან საფრანგეთის ქვეშევრდომთა კანონიერ მოთხოვნილებების შესახებო. ახალშენთა მინისტრის აზრით, საფრანგეთმა შანხაიდგან უნდა გაიყვანოს ჯარები სხვა სახელმწიფოებთან ერთად.

ვაშინგტონი. საზღვაო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ადმირალ დევეს, შეერთებულ შტატების ესკადრის უფროსს, არავითარი მოწერილობა არა ჰქონია. მას სრული უფლება აქვს თავის აზრის მიხედვით განკარგულება მოახდინოს ვენეცუელის საქმეთა შესახებ.

ორენბურგი. დღეს დაიწყო პირველი კრება საგუბერნიო კომიტეტისა სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა შესახებ.

ასხაბადი დღეს მიწის-ძვრისაგან მთელი ქალაქი დაინგრა; მცხოვრებლები სადგურს მიაწყდა; შიმშილობა მოსალოდნელია. თუ რამდენი ადამიანია მკვდარი, ჯერ არ არის გამორკვეული.

ახალი მარგელანი. 3 დეკემბერს, დილის 9 საათზედ ანდიჟანში მოხდა საშინელი მიწის ძვრა. ირწმუნებიან, მთელი ქალაქი დაინგრაო. რამდენიმე ადამიანი უმსხვერპლია ამ უბედურ შემთხვევას. გარეშემო მდებარე სოფლებიც დაზარალებულა. რკინის გზის ლიანდაგი რავდენიმე ადგილას გაფუჭებულია; დაზარალებულთა დასახმარებლად გაიგზავნა სურსათი და სათბილობელი ტანისამოსი.

პეტერბურგის ბირჟა, 3 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37¹/₂
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	5—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97³/₈ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¹/₂ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	94¹/₂ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	485 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	374¹/₂ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	307 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	—
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	204 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. ꙅ5 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, იჯარით გაიცემა ვერის ხიდის შემოსავალი, სამის წლის ვადით.

პირობათა შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში.

(2—6—1)

ტეცხლისაგან დაზარალებულ ცხინვალელთა სასარგებლოდ შემოწირულების შემკრები კომიტეტი აცხადებს:

რადგანაც კომიტეტს არ შეუძლია დააკმაყოფილოს დაზარალებულნი, რომელთა გაჭირვება ზამთრის დადგომის გამო დღითიდღე ძლიერდება, აზრადა აქვს 19 იანვარს 1903 წელს გაჰმართოს ტფილისში საქველმოქმედო **ამერიკული ბაზარი საკონცერტო განყოფილებით.**

ვისაც ჰსურს ფულად ან ნივთებით დახმარება, კეთილ-ინებონ და შეწირულებანი გაჰგზავნონ ამ ადრესით:

საღამოს გამმართველს კნ. მ. მ. თუმანოვისას (ბარიათინსკის ქუჩა, № 8), კომიტეტის წევრს ა. შტრეიხმს (გოლოვ. პროსპ. დობრჟანსკის სახ.) „ნოვოე ობოზ.“-ს რედაქციის (ბარიანთინსკი ქ.) და „ტფილ. ლისტ.“-ს რედაქც. (გოლ. პროს. № 3).

(3—მ.—2)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX“
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°
Парфюмеря
„Лѣсная Фіалка“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра . . .	3	.
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова.	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
ეწნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკოტინისა .	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები . . .	„	10

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XX-й годъ изданія)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

на 12 мѣсяцевъ . .	7 р. — к.	на 6 мѣсяцевъ . .	4 р. — к.
„ 11 „ . .	6 р. 50 „	„ 5 „ . .	3 „ 50 „
„ 10 „ . .	6 „ — „	„ 4 „ . .	3 „ — ,,
„ 9 „ . .	5 „ 50 „	,, 3 ,, . .	2 ,, 50 ,,
„ 8 „ . .	5 „ — „	,, 2 ,, . .	2 ,, — ,,
„ 7 „ . .	4 „ 50 „	,, 1 ,, . .	1 ,, — ,,

За границу: на годъ 14 руб., на полгода 8 руб., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К° въ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 к.—на 1-й стр.

(8—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.